

ჯავახეთში ფესვების საძებნად!

აბულაძეთა საგვარეულო კავშირის წარმომადგენლები: ლერი, ოთარი, ლევანი და მე, საგვარეულო კავშირის თავმჯდომარე ვახტანგ აბულაძე, დიდი ხნის ჩანაფიქრის სისრულეში მოსაყვანად 20 ივლისს, 10 საათზე, წინასწარ განსაზღვრული მარშრუტით: ბათუმი, ხულო, ადიგენი, ახალციხე, ასპინძა, ახალქალაქი, აბულის მთა – გავემგზავრეთ ბათუმიდან, ავტომანქანა ჯიპი პაჯეროთი.

პირველი გაჩერება: 12 საათზე, სხალთის ეპარქიის ეპისკოპოსის მეუფე სპირიდონის რეზიდენციაში ვიმყოფებით ხულოში. ის ხომ აბულაძეა, წარმოშობით ზესტაფონიდან. მეტად გულთბილად და დიდი სიყვარულით მიგვიღო მეუფემ. ვაცნობეთ რომ 2007 წლის 17 ივნისს დაფუძნდა აბულაძეების საგვარეულო კავშირი. გავაცანით წესდება, გერბისა და დროშის ესკიზები ასევე სამცხე - ჯავახეთში მოგზაურობის მიზანი, რომ უნდა შევხვედროდით აბულაძეებს და გვენახა მთა აბული.

მეუფე, როგორც მოველოდით დაინტერესებული ყოფილა გვარის ისტორიით, საკმაოდ კარგი და დამაჯერებელი ინფორმაცია მოგვაწოდა, გვითხრა ზურაბ ჭუმბურიძეს აქვს საინტერესო მასალებიო, ტელეფონიც ჩაგვაწერინა მეცნიერის, შემდეგ მოგვითხრო ახალქალაქის რაიონში, კერძოდ ნინოწმინდაში თავისი ლოცვა კურთხევით დაარსებულ უპატრონო ბავშვთა სახლზე. ვისაუბრეთ მთა აბულის შესახებ, რომელიც ჯავახეთში მდებარეობს. წარმოშობით აქაურნი არიან აბულაძეები და აქ არის მათი უძველესი ძვალთშესადაგი.

მეუფეს ჩვენი გვარის კურთხევა ვთხოვეთ და გვარის წინამძღოლობა შევთავაზეთ, რაზეც თანხმობა მივიღეთ. ისიც ვთხოვეთ, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორეს აბულაძეების გვარი დაელოცა.

მეუფემ გვითხრა ყველა საქმეში უმთავრესი ზნეობა და ღვთის სიყვარულიაო.

ზნეობასა და ღირსებაზე უმთავრესი არაფერიაო დასძინა მეუფემ. ამ მხვრივ ჩვენ ქვეყანასაც უჭირს და ამ საქმეში საგვარეულო კავშირებს დიდი როლის შესრულება შეუძლიათო.

რა თქმა უნდა საგვარეულო კავშირის წესდება განსაზღვრავს ქართული ადათ-წესების და ოჯახიშვილობისა ტრადიციების მსახურებას, მაგრამ ამ საუბარში უმთავრესი ორიენტირი ვიპოვეთ – ზნეობრიობის და ღირსების მსახურება.

შეხვედრისას მეუფემ გვთხოვა, რომ სველ ვაშლოვანში მომხდარიყო აბულაძეებთან მისი შეხვედრა, თან მოინახულებდა რკინის ჯვარს, წმინდა ანდრია პირველწოდებულის მიერ კურთხეულ ადგილს, რომელსაც ეს სახელი შემონახული აქვს პირველი საუკუნიდან. ჩვენ რა თქმა უნდა დავპირდით სურვილის შესრულებას.

მეუფემ ტრაპეზი გაგვიმართა, დაგვლოცა და გაგვაცილა, გვთხოვა ნინოწმინდაში უპატრონო ბავშვთა სახლში შეგვევლო.

ამ შესვენდრამ ფოტოკადრში და ვიდეოკამერაშიც გადაინაცვლა და მჯერა ყოველთვის სიამაყით ვიხილავთ მათ.

მომდევნო გახერება. რაც თავი მახსოვს გოდერძის უღელტეხილზე წყაროსთან შეჩერების გარეშე არც მგზავრი მინახავს და არც მგზავრებიანი ავტომობილი, რაღაც ამოუცნობი ჯადო აქვს ამ ადგილს, – თავად უღელტეხილი ხომ გამორჩეულია და გამორჩეული, მაგრამ წყაროთი გაგრილება უფრო გამორჩეულს ხდის მას. ზღვის დონიდან 2025 მეტრზე წყლის დაღვევის დროსაც მაღლი ეღვრება ადამიანს სხეულში და მაღლიერება ბაგეთაგან.

ადიგენის რაიონი, სოფელი საირმე. საღამოს 18 საათზე სოფელში ვიყავით უკვე. აქ აჭარიდან ჩამოსახლებული აბულაძეები ცხოვრობენ. ედნარ და ხულუს აბულაძეებმა მიგვიწვიეს ოჯახში, სადაც სოფლის აბულაძეებმა მოიყარეს თავი.

ერთმანეთი მოვიკითხეთ, მოგზაურობის მიზანიც გავაცანით, მეუფე სპირიდონთან შესვენდრაზე ვუამბეთ.

განსაკუთრებით კმაყოფილები დაგრჩით იმით, რომ 1983 წელს აქ ჩამოსახლებულ აბულაძეებს კარმიდამოები მოუწყვიათ, მიწა-წყალი დაუმშვენებიათ, ბაღები და პირუტყვი მოუშენებიათ, ტრანსპორტიც შეუძენიათ და დღევანდელი ცხოვრების კვალობაზე საკმაოდ კარგად გრძნობენ თავს.

სტუმარ-მასპინძლობა წარსულში არ ესწავლებოდათ აბულაძეებს და მით უმეტეს ეხლა. ოჯახში გულით სითბო და სიყვარული რომ ვნახე, ზაურის შვილების ზახას და გურამის ზრდილობა, კულტურა და უფროს - უმცროსის პატივისცემის ტრადიციის ვიხილე, ნაფიქრალს ამაყად დავესვი ბეჭედი: არა, ამისთანა ქართველების ხელში არც ქვეყანა გადაშენდება და არც ქართველობა მეთქი.

დილით ჯუმბერ აბულაძემ გადაგვიპატიუა ოჯახში. ცამდე უწიეს სიმღერისა და ცეკვის ჰანგებმა, სხეულს ახურებდნენ და ატკობდნენ ფანდური, დოლი და აკორდიონი. განსაკუთრებით დაგვამახსოვრა თავი ჯუმბერის დისშვილმა ნონამ, რომელსაც ფესტივალში გაუმარჯვია და 14 წლის ასაკში სიმღერა - მუსიკის სწავლების უფლება მოუპოვებია. დიდი მომავალი აქვს ნონას, მაგრამ ოჯახს არ ჰყოფნის საამისო შემოსავლები.

ღმერთო მალე გააძლიერე აბულაძეების საგვარეულო კავშირი რომ ასეთ შემთხვევებში შეძლოს თანადგომა გვარიშვილებზე.

ადიგენში ნონას დედა თამარს და მამა ბადრის პაქსაძეს გავეცანით, პატარა

დაიკოსაც – ბიჭი, ბიჭი აკლიათ დებს მეთქი! – ვიხუმრე.

– ძალიან ნუ შეგაწუხებთ ეს საკითხი, ბიჭი პაქსაძე იქნება და აბუღაძეები ვერ გამრავლდებითო, ხუმრობითვე მიპასუხა ქალბატონმა თამარმა.

ახალქალაქში. 21 ივლისს შუადღისას, უკვე ნინოწმინდაში ვიყავით, მობილურით შევეხმიანეთ უპატრონო ბავშვთა სახლის მესვეურებს. ქალბატონ მზევინარს და ისიც შეგვეგება თანამშრომლებით.

აქ კიდევ ერთხელ ვიგრძენის მეუფე სპირიდონის ღვთისმოსაობა – ტელეფონით დაკავშირებოდა აქაურთ და ეთხოვა, ჩვენთვის თანადგომა გაეწიათ.

გავეცანით ბავშვთა სახლის მობინადრეებს, დავათვალიერეთ რეზიდენციაში მიმდინარე მშენებლობები. ამქვეყნად ყველაზე დიდი საქმე და მადლია, რომ უპატრონო, უპატრონო ბავშვებს, რაც ჩვენი თვალთ ვიხილეთ. აქ ბავშვები დიდი ყურადღებით არიან მოსილნი, სუფთად, კოხტად და ლამაზად გამოიყურებიან და ძალიან, ძალიან საყვარლები არიან.

ბავშვთა სახლიდან გამოსულებს ნინოწმინდის გამგებლის მოადგილე ჯუმბერ გელაშვილი დაგვხვდა, რომელიც სპეციალურად ჩვენს დასახმარებლად იხმო ქალბატონმა მზევინარმა. ეს კაცი ერთადერთი ქართველია ნინოწმინდაში, (წარმოშობით ახალციხელი) რომელიც აქ ცხოვრობს. მას არ ჰქონდა ინფორმაცია აბუღის მთის შესახებ. სტუმრებს ელოდა და ვერც მეგზურობა გაგვიწია, მაგრამ დაუკავშირდა ახალქალაქის ეკლესიაში და იქაურებს თხოვა დახმარების გაწევა.

ეკლესიაში ქალბატონი ნინო დაგვხვდა. მან გვითხრა, რომ კარგი სანახავი იყო მთა აბუღი, ვულკანური წარმოშობის, ამ მთის ძირში არის სოფელი აბუღიო. მთაზე მიმავალთ გზად სომეხი გარიკა შემოგვხვდა, რომელიც სოფ. აბუღში ცხოვრობს. ის სოფელ აბუღის და მთა აბუღის ისტორიის შესახებ, არანაირი ინფორმაციას არ ფლობდა.

15 წუთში ჩვენს თვალწინ გადაიშალა უზარმაზარი მთა, მცირედი თოვლით, მწვანე ფერდობებით და ქვადორღით. მანქანით თითქმის მთის შუა წელამდე მივედით გარკვეული მანძილი ფეხით ვიარეთ და უკვე აბუღის მთაზე ვართ, თითქმის მწვერვალზე, იქედან გადავხედეთ არე მარეს.

ღმერთო, რა ლამაზია ვაკეზე შეფენილი სოფელი აბუღი!

თითქოს სიამაყე ვიგრძენ, სხვანაირად ვერც კი წარმომედგინა, ჩვენი წინაპრების მშობლიური აბუღი. ალბათ აქედან გადასახლებულნი ლამაზ ადგილებს ეძებდნენ და აგნებდნენ კიდევ. ხომ ლამაზია და ლამაზი ჩემი დაბადების ადგილი, ხულოს ვაშლოვანი, მაგრამ აბუღი გამორჩეულია, თავისი მღებარეობით, სილამაზით და აგრეთვე

ზამთარში განსაკუთრებული მკაცრი პირობებითაც. ყველგან, სადაც აბულაძეების სოფელში ვყოფილვარ, სილამაზეა და რაღაც უჩვეულო სიმშვიდე.

იქნებ ამიტომაც მშვიდნი, შრომისმოყვარენი, გამორჩეული და ლამაზები არიან აბულაძეები!

მოვიკითხეთ სოფლის ავან - ჩავანი და უცებ სიხარული დიდი ტკივილით შემეცვალა, 120 კომლიან სოფელში ყველა სომეხი ეროვნებისაა და არცერთი ქართველი, არ ცხოვრობს, აბულაძეებზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. მეუფე სპირიდონმა გვითხრა, აბულში აბულაძეების საფლავები შემონახულია და ქვებზე სახელი გვარები იკითხებაო. ჩვენ სამწუხაროდ ამჯერად ვერ მივაკვლიეთ წინაპრების საფლავებს.

ორი მთაა აღმართული ჩვენს თვალწინ, რომელთაც დიდი და პატარა აბული ჰქვია. - დიდი აბული 3305 მეტრია ზღვის დონიდან. ჩამქრალი ვულკანია, ვულკანური კონუსის სიძველისა და დიდი სიმაღლის გამო დაკარგული აქვს წესიერი ფორმა. კალთებზე

გამომუშავებულია ძველმყინვარული ცირკები, მორენული ზვინულებითა და პატარა ტბებით. მთის უმეტესი ნაწილი შემოსილია ალპური მდელოებით, ფართოდ გავრცელებული პერიგლაციალური ლოდნარ - ღორღნარით.

- პატარა აბული 2799 მეტრია ძღვის დონიდან. აგებულია პლიოცენური ასაკის ანდეზიტურ დაციტური ლავებით. წარმოადგენს ვულკანური კონუსს, რომლის კალთები ქვემო ნაწილში შემოსილია სუბალპური და ალპური მდელოებით, ზემო კალთა და წვერი დაფარულია კარკალებით.

სამ საათზე მეტი დავეყავით აბულის მთაზე, გადავიღეთ ფოტოები, გავაკეთეთ ვიდეო ჩანახატები, წინაპრების სადღეგრძელო დავლიეთ და უფრო უკეთ შევიგრძენით წარსულის, ჩვენი წინაპრების წადილი, რომ ვიცოდეთ აბული ჩვენი ფესვებია. იქნებ სწორედ ამ ადგილას იკრიბებოდნენ ჩვენი წინაპრები მსჯელობდნენ, ბაასობდნენ წარსულზე, აწმყოსა თუ მომავალზე!

გზად აბულში სოფლის წყაროს დავეწაფე და ვიგრძენ, რაც მინდოდა: ო, წყაროც ცივო და ანკარა წყაროც, შენც ხომ გსვამდა ჩემი წინაპარი. აი, ჩვენც მოვედით საუკუნეების შემდეგ, რომ დაგეწაფოთ, რომ გაგახსენოთ შენი გამოზრდილი მრავალი თაობის აბულაძეების შთამომავალნი, სულითა და ხორციით ქართველნი, რათა შეგიყვაროთ და გიმეგობროთ! ხომ გესმით ჩემი ?!

ტკივილი და სიამოვნება ერთდროულად დამეუფლა, ტირილი მომინდა, მაგრამ თანამგზავრების შემრცხვა. ტკივილი იმის, რომ ჩვენი წინაპრების შვილივით მოვლილ მიწა-წყალზე არცერთი აბულაძე არ ცხოვრობს და სიამოვნება იმის, რომ მრავალი საუკუნის შემდეგ წინაპრების მშობლიურ მიწაზე ვდგევართ და კვლავ ვეფერებით მას, ფიქრები და ოცნებები კი მკარნახობენ ვირწმუნო: აქ, სოფელ აბულში, სადაც ესლა

ვიმყოფებით ჩვენ, შეიქმნას პირობები და მომხდარებული უინი აბულაძეების, კერიის გაღვიძებისა და დარწმუნებული იქნას საუკუნეების შემდეგ ვაჟკაცი აბული -ს აკვანი. ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, სიამაყით მევსება გული ჩემი გვარიშვილობით, იმიტომაც, რომ ჩვენმა დიდებულმა წინაპრებმა სახელოვანი გვარი დაგვიტოვეს. გვარი, რომელმაც აღზარდა მეუფე სპირიდონი, (ეროპაში გოჩა) თენგიზი, იუსტინე, ილია, დიმიტრი, კალენიკე, ბაბო, ნოდარი, გიული, რამინი და მრავალი სხვები, რომლებიც საქართველოს საამაყო შვილები არიან. ხოლო 10 ათასზე მეტი ქართველი, საქართველოს 57 რაიონში აბულაძის გვარს ატარებს.

აბულაძეებო! ჩემო დებო და ძმებო იჩქარეთ, მოინახულეთ აქაურობა, ვინ იცის ჩვენი წინაპრების ძეგლებს, როგორ სურთ იგრძნონ შთამომავლთა სიტბო, ის რომ სიცოცხლე გრძელდება.

მძიმეა ცხოვრების პირობები სოფელ აბულში. მოსახლეობა ნაკელს ახმობს, რომ ზამთარში გათბობისათვის გამოიყენოს.

ვინ იცის, იქნებ ასე მძიმე პირობების გამო განსახლდნენ აბულაძეები საქართველოს სხვადასხვა მხარეში.

უკან ვბრუნდებით. გზად ხერთვისის ციხესთან შევჩერდით, დავათვალიერეთ იქაურობა და გზა გავაგრძელეთ. ასპინძაში გავჩერდით. მანქანიდან ჩამოვედი. იმავე წუთში გელზე სიმძიმე მომეხსნა, რატომღაც თავისუფლება ვიგრძენი და რომ დავფიქრდი მივხვდი, რომ ეს ჩვენს გარშემო შექმნილი ქართული ატმოსფერო იყო, რომელიც უცებ შევიგრძენი. ირგვლივ ადამიანები მოძრაობდნენ, მათთან ჩვენ თავისუფლად, კომპლექსების გარეშე შევედით კონტაქტში განსხვავებით ახალქალაქისა, სადაც გაგვაფრთხილეს, რომ სომეხ მოქალაქეებთან არ გვეთქვა ჩვენი წარმოშობის შესახებ გაუგებრობისა და გართულებების თავიდან აცილების გამო. ნეტავ ოდესმე დადგება დრო რომ აბულში ქართველებიც გააჩაღებენ კერას? იქნებ ნინოწმინდის უპატრონო ბავშვთა სახლის ბინადართ დაეკისრებათ ეს მისია? ვინ იცის! ვინ იცის!

ასპინძიდან 6 კილომეტრში, სოფელ ოთაში ცხოვრობენ აჭარიდან გადასახლებული ეკომიგრანტები, მათ შორის აბულაძეები და გეზიც მათკენ ავიღეთ.

– ოთაში გზის გასაყართან ახლოს ჯუმბერ (ნადიმ) აბულაძის სახლთან გავჩერდით. დანახვისთანავე სახლში მიგვიპატიუეს. თავს გვევლებოდნენ ჯუმბერის შვილები: ირაკლი, მარიამი, გიორგი, ხატია. მალე ამ სოფლის აბულაძეებმა მოიყარა თავი. ყველაზე უხუცესი 80 წლის ოსიკო აბულაძე ენამწვერობდა. საგვარეულო კავშირის დაფუძნებაზე, რომ ვუთხარით სიხარულით ცას ეწია მსცოვანი კაცი.

ოსიკო ბაბუმ თავის ოჯახში გადაგვიპატიუა, მაგრამ ამჯერად ვეღარ შევძელით. გაგვინაწყენდა კიდეც, მაგრამ, შევპირდით შემდგომი სტუმრობა აუცილებლად მას ოჯახში შესდგებოდა და ამ პირობით დავემშვიდობეთ ოთელ აბულაძეებს.

ადიგენი, სოფელი უდე. იქნებ ჯავახეთიდან პირველად აქ გადმოსახლდნენ აბულაძეები, ხუმრობა ხომ არაა, – აქ 100 კომლი აბულაძე ცხოვრობს.

23 ივლისს, 12 საათზე, მოვედით სოფლის შესასვლელში, ყველაზე ამაღლებულ გორაკზე, საიდანაც ხელისგულივით მოჩანს უდე. დავისვენეთ, მოვწესრიგდით და უდესაკენ გავეშურეთ. გორაკიდან 150 მეტრში აბულაძეების დასახლება.

შესასვლელში სოფლელები მუსაიფობდნენ, შეეჩერდით და ვიკითხეთ თუ სად ცხოვრობდნენ აბულაძეები და მათ შორის ლევან აბულაძე, ჩემი სტუდენტობის მეგობარი, მაგრამ აქ არ აღმოჩნდა, თბილისში გადასახლდაო გვითხრეს.

საუბარში 35 წლამდე ასაკის ახალგაზრდა კაცი ჩაერთო, რომელიც გულისყურით გვისმენდა. ის გელა აბულაძე აღოჩნდა, რომელიც თბილისში ცხოვრობდა და უდეში საქმეზე იყო ჩამოსული, რომ გაიგო ჩვენი სტუმრობის მიზეზი ტელეფონით ყველა იხმო ვინც სახლში იყო. უდე მაღალმთიანი სოფელია, აქაურები მესაქონლეობას მისდევენ და ზაფხულობით პირუტყვი იალაღებზე გადაჰყავთ, რის გამოც აქაურების უმრავლესობა იალაღებზე იყვნენ გასულები. ახალციხიდან ბიძია არტემი იხმო. შეხვედრა შესდგა ბატონი გელას ოჯახში. ბატონი არტემი დაინტერესებული ყოფილა გვარის ისტორიით. მისი გადმოცემით უდეში და ახალციხეში 9 განშტოების აბულაძეები ცხოვრობენ. გენიალოგიური რუკა კი ჯერ შედგენილი არ აქვთ. ჩვენს მიზანს წარმოადგენდა კავშირის წარმომადგენლობის დაფუძნება.

გელას წინადადებით საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელობა გიორგი აბულაძეს მიანდეს. შესდგა შეხვედრის ოქმი და დაიგეგმა დამფუძნებელი კრების ჩატარება.

ბატონი გელას დაჟინებით მოთხოვნით ახალციხეში დავბრუნდით. ფაცხებში მდინარის პირას, კალმახს იჭერდნენ, წვაავდენ, ხარშავდნენ და მოჰქონდათ სუფრაზე. სუფრასთან ისხდნენ ბატონი გელას ბიძაშვილი, ლევან აბულაძე და მისი დის ქმარი ლევან მღებრიშვილი. ლევან აბულაძის ყურადღება სატელეფონო ზარმა მიიპყრო, საუბარი როგორც კი დაასრულა მოიბოდიშა და წავიდა, სასიხარულო ამბავმა, რომელიც ლევანმა გვაუწყა უფრო აგვიმადლა განწყობილება. მას მეუღლე სამშობიაროში გადაეყვანა და წუთიწუთზე ელოდნენ ბავშვის დაბადებას.

– ნეტავ აბული დაარქვას!

– ნეტავ აბული დაარქვას!

ამეკვიატა ეს აზრი, მაგრამ გამხელა ვერ გავბედე, ვაითუ ჩემი წინადადება არ

მოსწონებოდა ლევანს და ჩამეგდო უხერხულ მდგომარეობაში.

ის ღამე სასტუმრო ფოცხოვში გაგვითენდა.

დილით ყვავილების თაიგლით მივულოცეთ ლევანის მეუღლეს გოგონას დაბადება, რომელსაც ლიზი დაარქვეს. კარგად მენიშნა აბულაძეების გზა სავალზე მავალთ გამრავლება, რომ დაგვებედა. დაე, იმრავლოს აბულაძეების გვარმა.

ამ ჩვილის დაბადების მოწმენი კი გავხდით, მაგრამ 23 ივლისს ცნობილ ხელოვანსა და პედაგოგს ემშვიდობებოდა სოფელ ვაშლოვანის სააბულაძეო და ჩვენც აქეთკენ გამოვეშურეთ.

დავით აბულაძეს იმქვეყნიური გზა დაუულოცეთ, ვაშლოვანში აბულაძეებს კი გვიან ღამემდე ვუყვებოდით სამხსე-ჯავახეთში მოგზაურობის შესახებ. გვიან ღამით დავბრუნდით ბათუმში, შთაბეჭდილებებით, რომელიც ჩვენს მესხიერებაში წარუშლელად დარჩება ნანახითა და განცდილი სიამოვნებით. არაფერია იმაზე დიდი სამსახური, რასაც ჰქვია ემსახურო შენს გვარს და საგვარეულოს. მჯერა აბულაძეები ღირსეულად გავაგრძელებთ წინაპრების ტრადიციებს, მოვეფერებით და შევიყვარებთ ჩვენი წარმოშობის ადგილებს, რის ფესვებზეც აღმოცენდა გვარი „ აბულაძე “

ვახტანგ აბულაძე

24. 07. 2007 წელი.